

## სადირექციო წერა მათემატიკაში

VII ვლასი

06.06.2025

1. დაწერეთ  $y=x$  წრფის პარალელური წრფის განტოლება რომელიც გადის  $B(-2; 3)$  წერტილზე. იპოვეთ  $c$ , თუ  $A(4; c)$  წერტილიც ამ წრფეზე მდებარეობს.
2. საკონდინატო სიბრტყეზე მოცემულია სამკუთხედი  $ABC$ .  $A(-4; 3)$   $B(2; 2)$   $C(4; -7)$ . დაწერეთ  $BM$  მედიანის შემცველი წრფის განტოლება და იპოვეთ  $D$  წერტილის კონდინატები, რომელშიც  $BM$  მედიანის შემცველი წრფე კვეთს  $x$  ღერძს.
3. დაწერეთ იმ წრფის განტოლება, რომელიც  $y=-2x+1$  წრფის მართობულია და გადის  $y=5x-1$  და  $y=3x+7$  ფუნქციათა გრაფიკების გადაკვეთის წერტილზე.
4. შარვალი და პიჯაკი ერთად 260 ლარი ღირდა, მას შემდეგ რაც შარვალი გაიაფდა 10%-ით, ხოლო პიჯაკი გაძვირდა 10%-ით მათი საერთო ფასი 264 ლარს გაუტოლდა. რა ღირდა პიჯაკი გაძვირებამდე?
5. არსებობს თუ არა  $b$  პარამეტრის მნიშვნელობა რომლისთვისაც სისტემას ამონახსნი არ აქვს?  $\begin{cases} 3x - (4 - b)y = 12 \\ 5x - (2 + 3b)y = 12 + 8b \end{cases}$  პასუხი დაასაბუთეთ.
6.  $A$ ,  $B$  და  $C$  წერტილებით წრეწირი დაყოფილია  $AB$ ,  $BC$  და  $AC$  რკალებად, რომელთა ზომებიც ისე შეეფარდებიან ერთმანეთს როგორც  $2:3:4$ . იპოვეთ კუთხე  $A$  და  $C$  წერტილებზე გავლებულ მხებებს შორის.
7. წრეწირის  $A$  წერტილიდან  $a$  მხებამდე მანძილი 3სმ-ია, ხოლო  $A$  წერტილიდან მანძილი  $a$  მხების პარალელურ დიამეტრამდე კი 4სმ. იპოვეთ მანძილი  $B$  წერტილიდან  $a$  წრფემდე, თუ  $AB$  მოცემული წრეწირის დიამეტრია.
8. წრეწირის გარეთ აღებული  $K$  წერტილიდან წრეწირისადმი გავლებულია 2 მკვეთი. პირველი წრეწირს  $A$  და  $B$  წერტილებში კვეთს, ხოლო მეორე  $C$  და  $D$  წერტილებში. ცნობილია, რომ  $AD$  დიამეტრია, ხოლო  $KC=CD$ . (იხ. ნახაზი) იპოვეთ  $BC$  ქორდის სიგრძე, თუ  $KD=14$ სმ.

